



საქმე # 330210014574133



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

29 ოქტომბერი, 2015 წელი
საქმე №28/1106-15

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე - ვანო წიკლაური
მოსამართლეები: ხათუნა არევამე, ლილი ტყემალაძე

სხდომის მდივანი - ქეთევან ბარნოვი

აპელანტი - შპს „ა. კ.“

წარმომადგენლები - თ. ყ., თ. გ.

მოწინააღმდეგე მხარე - ნ. გ.

წარმომადგენლები - ს. მ., თ. ხ.

დავის საგანი - თანხის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება.



2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე შპს „ა. კ.-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. მოპასუხე ნ. გ. ფლობს სახელმწიფო სერიფიკატს საექიმო სპეციალობაში - „ენდოკრინოლოგია“ და კვალიფიკაციით არის ენდოკრინოლოგი.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება - ტ.1. ს. ფ. 2-4,59,245-249, იხ. სასამართლო სხდომის ოქმები (მოპასუხე მხარის მიერ აღნიშნული გარემოება სადავო არ გამხდარა);
- ი.მ. სეჩენოვის სახელობის მოსკოვის პირველი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წერილი №3012/03.02-22/08.45 12.11.2014წ. - ტ.1. ს. ფ. 210-213;

2.2. 2008 წლის 29 აგვისტოს შპს „ა. კ.-ს“ და ნ. გ.-ს შორის დადებული შრომის ხელშეკრულების და 2008 წლის 29 აგვისტოს შპს „ა. კ.-ს“ გენერალური დირექტორის N237/კ ბრძანების საფუძველზე, მოპასუხე ნ. გ. 2008 წლის 29 აგვისტოდან დაინიშნა შპს „ა. კ.-ს“ მარნეულის ფილიალის ენდოკრინოლოგიური სამსახურის ექიმ-ენდოკრინოლოგის თანამდებობაზე;

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2008 წლის 29 აგვისტოს შრომის ხელშეკრულება - ტ.1. ს. ფ. 15-17;
- 2008 წლის 29 აგვისტოს ბრძანება N237/კ - ტ.1. ს. ფ. 18;
- თანამდებობბრივი ინსტრუქცია - ტ.1. ს. ფ. 31- 34;
- მხარეთა ახსნა-განმარტება - ტ.1. ს.ფ. 2-4,59,245-249, იხ. სასამართლო სხდომის ოქმები;

2.3. შპს „ა. კ.-ს“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 11 იანვრის ბრძანების N26/მ საფუძველზე ნ. გ. მივლინებულ იქნა ქ. ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში სტაჟრების გასავლელად 2012 წლის 14 იანვრიდან 2012 წლის 07 თებერვლის ჩათვლით.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:



- 2012 წლის 11 იანვრის N26/მ ბრძანება - ტ.1. ს. ფ. 19;
- ა. კ.-ს მივლინების მოწმობა - ტ.1. ს. ფ. 20;
- ემორის უნივერსიტეტის მიერ გაცემული 2012 წლის 06 თებერვლის წერილი- ტ.1. ს. ფ. 21;

2.4. შპს „ა. კ.-ს“ მიერ ნ. გ.-ს ქ. ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში მივლინებისთვის/ყოფნის პერიოდში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 8 381.68 ლარი.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- ცხრილი ემორის უნივერსიტეტში მივლინებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გადარიცხული თანხების თაობაზე - ტ.1. ს. ფ. 22;
- 2012 წლის 12 იანვრის ელექტრონული საგადასახადო დავალება N16 - ტ.1. ს. ფ. 23;
- 2012 წლის 13 იანვრის ელექტრონული საგადასახადო დავალება N16 - ტ.1. ს. ფ. 26;
- 2012 წლის 13 იანვრის ელექტრონული საგადასახადო დავალება N16 - ტ.1. ს. ფ. 27;
- 2011 წლის 19 დეკემბრის ელექტრონული საგადასახადო დავალება N883 -ტ.1. ს. ფ. 28;
- 2012 წლის 27 თებერვლის საგადასახადო დავალება N1 - ტ.1. ს. ფ. 29;
- მხარეთა ახსნა-განმარტება - ტ.1. ს. ფ. 2-4,59,245-249, იხ. სასამართლო სხდომის ოქმები (მოპასუხეს სადავო არ გაუხდია);

2.5. შპს „ა. კ.-ს“ გენერალური დირექტორის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანების N112'/3 შესაბამისად, შპს „ა. კ.-ს“ ცენტრალური ფილიალის ექიმი, ენდოკრინოლოგი ნ. გ. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, შრომის ხელშეკრულებით, შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციით და შპს „ა. კ.-ს“ შინაგანაწესით განსაზღვრული ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო, კერძოდ, პაციენტებთან უხეში დამოკიდებულების გამო, რაზედაც არაერთხელ მიეცა სიტყვიერი საყვედური, ხელმძღვანელის მითითებების შეუსრულებლობისა და კონფერენციებზე, შეხვედრებზე, თათბირებზე და ა.შ. პირადი ტელეფონით სარგებლობის გამო.

ამავე ბრძანების შესაბამისად, ნ. გ.-ს დაეკისრა შპს „ა. კ.-ს“ მიერ მისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გაწეული ხარჯების 8 381.68 ლარის ორმაგი ოდენობით - 16 763.36 ლარის ანაზღაურება.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება N112'/3. - ტ.1. ს. ფ. 30;

2.6. მოპასუხე ნ. გ.-ს შპს „ა. კ.-ს“ გენერალური დირექტორის 2014 წლის 25 თებერვლის N112'/3 ბრძანება კანონით დადგენილი წესით და ვადაში სადავო არ გაუხდია.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:



- 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება N112'/3. - ტ.1. ს. ფ. 30;
- მხარეთა ახსნა-განმარტება - ტ.1. ს. ფ. 2-4,59,245-249, იხ. სასამართლო სხდომის ოქმები;

2.7. 2014 წლის 12 ივნისის წერილით N978/04 ეცნობა მოპასუხე ნ. გ.-ს, რომ წერილის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა დაეფარა შპს „ა. კ.-ს“ მიერ მისი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გაწეული ხარჯი გაორმაგებული ოდენობა 16 763.36 ლარი.

არსებული მომენტისათვის აღნიშნული ოდენობის ფულადი თანხა ნ. გ.-ს მიერ მოსარჩელე შპს „ა. კ.-სთვის“ ანაზღაურებული არ არის.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2014 წლის 12 ივნისის წერილი N978/04 - ტ.1. ს.ფ. 45;
- საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებები - ტ.1. ს.ფ. 46;
- მხარეთა ახსნა-განმარტება - ტ.1. ს. ფ. 2-4,59,245-249, იხ. სასამართლო სხდომის ოქმები;

2.8. დადგენილია, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რადიოაქტიური იოდით მკურნალობას უნდა ახორციელებდეს ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში - „რადიოლოგია“ და სუბსპეციალობის მოწმობას - „რადიოიზოტოპური გამოკვლევა“. ასევე, 2007-2013 სერტიფიცირებული ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში - „რადიოიზოტოპური გამოკვლევა“ („საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანება).

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2014 წლის 14 ნოემბრის წერილი N01/92339 - ს.ფ.197;
- მხარეთა ახსნა-განმარტება - ს.ფ.2-4,59,245-249, იხ. სასამართლო სხდომის ოქმები (მხარეთა მიერ აღნიშნული გარემოება სადავო არ გამხდარა);

2.9. შპს „ა. კ.-ს“ მიერ მოპასუხე ნ. გ.-ს მივლინება ქ. ატლანტაში ემორის უნივერსიტეტში სტაჟირების გასავლელად არ ემსახურებოდა მოპასუხის, როგორც ექიმ-ენდოკრინოლოგის პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და კვალიფიკაციის ამაღლების მიზანს.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის საფუძველად სასამართლო მიუთითებს შემდეგს:



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე მხარე თვითონ განსაზღვრავს, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მის მოთხოვნას და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს ეკისრება იმ ფაქტების დადასტურების ტვირთი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

წარმოდგენილ შემთხვევაში მხარეთა ახსნა-განმარტებების და საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევა, რომ მოპასუხე ნ. გ.-ს ყოფნა და ემორის უნივერსიტეტში მისი დამკვირვებლისა თუ მსმენელის სტატუსის ქონა არ წარმოადგენს უპირობოდ კვალიფიკაციის ამაღლებას. საქმეში არსებული მტკიცებულებების შესაბამისად დგინდება, რომ ემორის უნივერსიტეტში შპს „ა. კ.-დან“ წარგზავნილი იყო სამი პიროვნება, მათ შორის მოპასუხე, ექიმი-ენდოკრინოლოგი) - ნ. გ., შპს „ა. კ.-ს“ დირექტორი - დ. ჯ. და კლინიკის თანამშრომელი, სამედიცინო ტექნიკოსი - დ. ე.. სასამართლო მიიჩნევს რომ მითითებული პირების ყოფნა ემორის უნივერსიტეტში ცალსახად ადასტურებს მათი დამკვირვებლების სტატუსით ყოფნას და ინფორმაციის შეგროვებას მხოლოდ სამომავლოდ რადიაციული იოდის კაბინეტის გახსნის მიზნის მისაღწევად. საქმეში არსებული ელექტრონული მიმოწერის ტექსტები, რომლებიც მართალია შეიცავენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა ტრენინგი, სტუდენტები, თუმცა თავად მათი მთლიანი შინაარსი ცალსახად მიუთითებს სწორედ ინფორმაციული ხასიათის დაკვირვებისა და აღნიშნული ინფორმაციის ტექნიკური სახის თაობაზე. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 19 იანვრის ელექტრონული წერილიდან ირკვევა (დოქ. H. Raghuvver) თუ რა ინფორმაციის მიწოდება ხდება ვიზიტორებისათვის, კერძოდ - მათ ეძლევათ ამომწურავი იდეები მართვის, პერსონალის დატრენინგების, პოლიტიკისა და პროტოკოლის შემუშავების, პაციენტების და საექიმო განათლების, ფაქტობრივი პროცესების და ფარისებული ჯირკვლის სკანერით გადაღების და მკურნალობის, ანგარიშგების და კონტროლის სფეროში; ასევე, ჩაუტარდათ სესია რადიაციული უსაფრთხოების ოფიცერთან. ტექნიკური ზედამხედველი და ადმინისტრაციული დირექტორისაგან მიეცათ რეკომენდაციები აღჭურვილობის ამორჩევასთან, შეძენასთან და გამყიდველებთან მოლაპარაკებების წარმოებასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, საგულისხმოა რომ რაიმე ცალკეული ტერმინის გამოყენების მიუხედავად სამივე მითითებული დამკვირვებელი პირის (რომლებიც როგორც უკვე მიეთითა



სხვადასხვა სტატუსისა და განათლების, კვალიფიკაციის პირები არიან) წარგზავნის მთავარი მიზანი ტექნიკური, უსაფრთხოების და არსებული პარამეტრების გათვალისწინებით, სამომავლო პერსონალის შერჩევა-დატრენინგების მიზნით ინფორმაციის შეგროვება და შემდგომ საქართველოში კლინიკის ფარგლებში მათი გათვალისწინება იყო.

სასამართლომ მოცემული სამოქალაქო დავის გადაწყვეტისას, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების სამართლიანობის, დასაბუთებულობის და საფუძვლიანობის მაღალი ხარისხით დადასტურებისთვის მიზანშეწონილად მიიჩნია და მიუთითა, რომ ენდოკრინოლოგია - არის მეცნიერება შიდა სეკრეციის ორგანოების ფუნქციასა და წყობაზე; მოქმედებაზე, რომელსაც ეს ჰორმონები იწვევენ ადამიანის ორგანიზმში; ასევე დაავადებების შესახებ, რომლებსაც ამ ორგანოების ფუნქციის მოშლა იწვევს. რადიოლოგია - არის მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის მაიონიზებელ გამოსხივებათა გამოყენებას სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით, აგრეთვე მათ ბიოლოგიურ მოქმედებას. მეცნიერების ზემოაღნიშნული დარგები მიეკუთვნება სამედიცინო სფეროს, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით, მათ შორის განსხვავება დიდია, კერძოდ, ისინი სრულიად სხვადასხვა პათოლოგიებს და მათი მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებს შეისწავლიან. შესაბამისად, ექიმი, რომელიც არის ენდოკრინოლოგი და სამედიცინო განათლება მიღებული აქვს ამ სფეროში, კვალიფიკაციას ვერ აიმაღლებს სრულიად განსხვავებულ დარგში. სასამართლოს მიხედულებით, მოპასუხე ნ. გ.-ს და მასთან ერთად შპს „ა. კ.-ს“ სხვა თანამშრომლების გაგზავნა ქ. ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში, მიზნად ისახავდა ამ უნივერსიტეტში, რადიოლოგიის სფეროში არსებული გამოცდილების, ცოდნის, ტექნიკური მიღწევების თაობაზე ინფორმაციის მიღებას მისი შემდგომი გამოყენებისათვის, კერძოდ, ქ. თბილისში, მოცემულ სფეროში სამედიცინო კაბინეტის გახსნას, რაც მათი საქართველოში დაბრუნების შემდგომ განხორციელდა კიდევ, და რამაც შპს „ა. კ.-ს“ პაციენტების მოზიდვის და დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა მისცა. უდავოა, რომ მოპასუხე ნ. გ.-სთვის ქ. ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში მივლინება ინფორმაციული თვალსაზრისით იყო საკმაოდ საინტერესო, მან რადიოლოგიის დარგის შესახებ დღეის მდგომარეობით იცის უფრო მეტი, ვიდრე იცოდა ქ. ატლანტაში გამგზავრებამდე, თუმცა ეს ცალსახად არ მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მან როგორც ექიმ-ენდოკრინოლოგმა აიმაღლა კვალიფიკაცია. სასამართლომ განმარტა, რომ კვალიფიკაციის ამაღლების უმთავრესი წინაპირობა არის პირის მიერ ზოგადად აღნიშნულ სფეროში კვალიფიკაციის ქონა და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ არის შესაძლებელი მისი გაღრმავება, გაზრდა და ამაღლება დროთა განმავლობაში არსებული სიახლეებითა თუ მიღწევებით. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სახის დაკვირვება იძლევა შესაძლებლობას მიიღო ახალი ინფორმაცია და შესაძლებელია ამისათვის სულ არ იყოს პირი თუნდაც მედიცინის სფეროს წარმომადგენელი, ვერ იქნება გაიგივებული კვალიფიკაციის



ამაღლებასთან, ვიანიდან თავად კვალიფიკაციის ამაღლების არსი, მისი შინაარსი, როგორც აღინიშნა სამომავლოდ კონკრეტული სფეროს მუშაკისათვის სამუშაო პროცესში, მისი მოღვაწეობის სფეროში უნდა იყოს გამოყენებადი და შედეგის მიმცემი. წარმოდგენილ შემთხვევაში მოპასუხე - ნ. გ. არის ექიმი-ენდოკრინოლოგი და საქმეზე უდავოა, რომ მას არ გააჩნდა და არც არსებული მომენტისათვის გააჩნია რადიოლოგის კვალიფიკაცია. ამასთან, აღნიშნული გარემოება არ დასტურდება ისეთი წერილობითი მტკიცებულებებით, როგორიცაა სერტიფიკატი, დიპლომი და ა.შ. აღნიშნულისგან გასხვავებით მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა სწორედ კონკრეტულ სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად მის სახელზე გაცემული შესაბამისი სერტიფიკატები თუ დიპლომები.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- შპს „ა. კ.-ს“ 2012 წლის 11 იანვრის ბრძანება №26/მ ს.ფ. 19
- ცხრილი ემორის უნივერსიტეტში მივლინებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გადარიცხული თანხების თაობაზე - ტ.1. ს.ფ. 22;
- 2012 წლის 12 იანვრის, 13 იანვრის 19 დეკემბრის 27 თებერვლის ელექტრონული საგადასახადო დავალება N16 - ტ.1. ს.ფ. 23-29;
- მხარეთა ახსნა-განმარტება - ტ.1. ს.ფ. 2-4,59,245-249, იხ. სასამართლო სხდომის ოქმები;
- ემორის უნივერსიტეტის წერილები - ტ.1. ს. ფ. 156-158,166-168,200-202, 233-234;
- ელექტრონული მიმოწერა - ტ.1. ს. ფ. 187-196, 203-205;
- სერტიფიკატები, დიპლომები - ტ.1. ს. ფ. 217-225;

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში. თუ არ არსებობს ვალდებულება, მაშინ არც შესრულება იქნება. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა განუხრელად დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია თვით



შესრულების საგანთან. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. კეთილსინდისიერება ვალდებულების შესრულების დროს პოზიტიური გაგებით გამოიყენება და არა ნეგატიურით. კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საერთო მიმართულებასაც. სამართლის სუბიექტის უფლებრივი ხედვაც კეთილსინდისიერებაზე იგება. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას, სამართლებრივ შეფასებას არ აძლევს 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანებას, რომლის საფუძველზეც მოპასუხე გათავისუფლდა შპს „ა. კ.-ს“ ენდოკრინოლოგის თანამდებობიდან, ვინაიდან აღნიშნული ბრძანება არ წარმოადგენს მოცემული დავის საგანს. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმ სადავო საკითხზე უნდა დაეკისროს თუ არა მოპასუხე ნ. გ.-ს შპს „ა. კ.-ს“ სასარგებლოდ იმ ხარჯების გაორმაგებული ოდენობით ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია მხარეებს შორის 2008 წლის 29 აგვისტოს შრომის ხელშეკრულების დანართი №2-ს მე-7 მუხლით. აღნიშნულ მუხლში მითითებულია, რომ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას, თანამშრომელი ვალდებულია, დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ორმაგად აუნაზღაუროს დამსაქმებელს ის ხარჯები, რომელიც გაწეულ იქნა დამსაქმებლის მიერ თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. სასამართლომ განმარტა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ღ² პუნქტის თანახმად, კვალიფიკაცია არის სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით ან სერტიფიკატით; მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, სასამართლომ მოპასუხე ნ. გ.-ს მივლინება ქ. ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში არ შეაფასა, დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებად, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისთვის 16763.36 ლარის დაკისრების თაობაზე მიიჩნია უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, შესაბამისად, მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

3.1. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ შპს „ა. კ.-ს“ მიერ მოპასუხე ნ. გ.-ს მივლინება ქ. ატლანტაში ემორის უნივერსიტეტში სატაჟირების გასავლელად არ ემსახურებოდა მოპასუხის, როგორც ექიმ-ენდოკრინოლოგის პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და კვალიფიკაციის ამაღლების მიზანს. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ მოპასუხე ნ. გ.



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმყოფება ემორის უნივერსიტეტში. სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულება არ გაითვალისწინა და ისე მიიღო გადაწყვეტილება. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია 2011 წლის 06 დეკემბრის წერილი, ემორის უნივერსიტეტის მოწვევა, ასევე, 2012 წლის 19 იანვრის გ. კ.-ს წერილი, 2012 წლის 05 თებერვლის ნ. გ.-ს მიერ გ. გ.-სთვის გაგზავნილი წერილი.

მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული მედიცინის ცენტრში პაციენტის მკურნალობას ახორციელებს ექიმი რადიოლოგი, ექიმი ენდოკრინოლოგი განსაზღვრავს პაციენტის საჭიროებას და მიმართავს მას ბირთვული მედიცინის ცენტრში სამკურნალოდ, ხოლო მკურნალობის შემდეგ უწევს პაციენტს მეთვალყურეობას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მედიცინის ორივე დარგის სპეციალისტის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მოპასუხემ ემორის უნივერსიტეტში შეიძინა მისი საქმიანობისათვის საჭირო ცოდნა და აიმაღლა კვალიფიკაცია.

სასამართლოს განმარტების მიხედვით, კვალიფიკაციის ამაღლების არსი კონკრეტული სფეროს მუშაკისათვის სამუშაო პროცესში, მისი მოღვაწეობის სფეროში უნდა იყოს გამოყენებადი და შედეგის მომცემი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს ის ფაქტი, რომ ნ. გ.-ს სტაჟირება ემორის უნივერსიტეტში მისთვის გამოყენებადია და შედეგის მიმცემი, შესაბამისად, სახეზე გვაქვს კვალიფიკაციის ამაღლების ფაქტი.

3.2. აპელანტის მითითებით, შპს „ა. კ.-ს“ კლინიკური დირექტორის გ. გ.-ს განმარტების თანახმად, ნ. გ. მისი რეკომენდაციის საფუძველზე გაემგზავრა აშშ-ს ქალაქ ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში, სადაც სამედიცინო სკოლის რადიოლოგიის დეპარტამენტის კათედრაზე 2014 წლის 14 იანვრიდან 2014 წლის 07 თებერვლის ჩათვლით გაიარა ტრენინგი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების რადიოაქტიური იოდით მკურნალობის თანამედროვე მიდგომების ასათვისებლად. ენდოკრინოლოგიაში ხდება ფარისებრი ჯირკვლის ყველა სახის პათოლოგიების მკურნალობა განსხვავებული მეთოდით. ვინაიდან, რადიოაქტიური მეთოდი ხშირად გამოიყენება, როგორც მკურნალობის საშუალება, ამიტომ ენდოკრინოლოგიის კვალიფიკაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სრულად, როდესაც იგი იყენებს ყველა ზემოაღნიშნულ მკურნალობის მეთოდს (მედიკამენტური, ოპერაციული და რადიოაქტიური იოდის გამოყენებით) შესაბამისად, ზემოაღნიშნული ტრენინგი იყო კლინიკური და რადიოლოგიური ე.წ. კომბინირებული სახის ტრენინგი, რომლის განმავლობაშიც ნ. გ.-ს უნდა აემაღლებინა თავისი, როგორც ექიმის კვალიფიკაცია, რადგან ა. კ.-ში იგეგმებოდა რადიოაქტიური იოდით მკურნალობის განყოფილების გახსნა. მოცემული ტრენინგის გავლის შემდგომ მას სრულყოფილად ექნებოდა შესწავლილი ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების რადიოაქტიური იოდით მკურნალობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ტრენინგი რომ ყოფილიყო დაესწრებოდა მხოლოდ ტექნიკური განყოფილების თანამშრომელი და კომპანია ზედმეტ ხარჯს არ გასწევდა კლინიკისთვის



გაგზავნის მიზნით.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

4. ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

4.1. დადგენილია და მხარეთა შორის სადავოდ არ ხდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- 2008 წლის 29 აგვისტოს შპს „ა. კ.-სა“ და ნ. გ.-ს შორის დაიდო შრომის ხელშეკრულება და შპს „ა. კ.-ს“ გენერალური დირექტორის N237/კ ბრძანების საფუძველზე, მოპასუხე ნ. გ. დაინიშნა შპს „ა. კ.-ს“ მარნეულის ფილიალის ენდოკრინოლოგიური სამსახურის ექიმ-ენდოკრინოლოგის თანამდებობაზე (იხ. 2008 წლის 29 აგვისტოს შრომის ხელშეკრულება; 2008 წლის 29 აგვისტოს N237/კ ბრძანება - ტ.1. ს. ფ. 15-18) ;

- შპს „ა. კ.-ს“ გენერალური დირექტორის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანების N112'/კ შესაბამისად, შპს „ა. კ.-ს“ ცენტრალური ფილიალის ექიმი, ენდოკრინოლოგი ნ. გ. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, შრომის ხელშეკრულებით, შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციით და შპს „ა. კ.-ს“ შინაგანაწესით განსაზღვრული ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო, კერძოდ, პაციენტებთან უხეში დამოკიდებულების გამო, რაზედაც არაერთხელ მიეცა სიტყვიერი საყვედური,



ხელმძღვანელის მითითებების შეუსრულებლობისა და კონფერენციებზე, შეხვედრებზე, თათბირებზე და ა.შ. პირადი ტელეფონით სარგებლობის გამო.

ამავე ბრძანების თანახმად, ნ. გ.-ს დაეკისრა შპს „ა. კ.-ს“ მიერ მისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გაწეული ხარჯების 8 381.68 ლარის ორმაგი ოდენობით - 16 763.36 ლარის ანაზღაურება.

- მოპასუხე ნ. გ. ფლობს სახელმწიფო სერიფიკატს საექიმო სპეციალობაში - „ენდოკრინოლოგია“ და კვალიფიკაციით არის ენდოკრინოლოგი.

- შპს „ა. კ.-ს“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 11 იანვრის ბრძანების N26/მ საფუძველზე, ნ. გ. 2012 წლის 14 იანვრიდან 2012 წლის 07 თებერვლის ჩათვლით, მივლინებულ იქნა ქ. ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში სტაჟირების გასავლელად (იხ. 2012 წლის 11 იანვრის N26/მ ბრძანება; ა. კ.-ს მივლინების მოწმობა; ემორის უნივერსიტეტის მიერ გაცემული 2012 წლის 06 თებერვლის წერილი, ტ.1. ს. ფ. 19-21); შპს „ა. კ.-ს“ მიერ ნ. გ.-ს ქ. ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში მივლინებისთვის/ყოფნის პერიოდში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 8 381.68 ლარი (იხ. ტ.1. ს.ფ. 22-23; 26-29);

- 2014 წლის 12 ივნისის N978/04 წერილით, ნ. გ.-ს ეცნობა, რომ წერილის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა დაეფარა შპს „ა. კ.-ს“ მიერ, მისი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გაწეული ხარჯი გაორმაგებული ოდენობა - 16 763.36 ლარი (იხ. 2014 წლის 12 ივნისის წერილი N978/04);

4.2. ნ. გ.-სა და შპს „ა. კ.-ს“ შორის 2008 წლის 29 აგვისტოს დადებული შრომითი ხელშეკრულების 5.2. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების „თანამშრომლის“ ინიციატივით ან/და ბრალით შეწყვეტისას, „თანამშრომელი“ ვალდებულია ორმაგად აუნაზღაუროს „დამსაქმებელს“ ის ხარჯი, რომელიც გაწეული იქნა „დამსაქმებლის“ მიერ „თანამშრომლის“ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის (იგულისხმება ლექციები, სემინარები, ტრენინგები, სტაჟირებები და სხვა). აღნიშნული ანაზღაურების ვალდებულება მოქმედებს მხოლოდ იმ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გაწეული ხარჯებისათვის, რომელთაც არ გასვლიათ 5 (ხუთი) წელი (იხ. ტ.1. ს.ფ. XX).

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავოა იმ ორი წინაპირობის არსებობის შესახებ საკითხი, რასაც 2008 წლის 29 აგვისტოს შრომითი ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად უკავშირდება თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დამსაქმებლის მიერ გაწეული ხარჯის თანამშრომლისათვის ორმაგი ოდენობით დაკისრების შესახებ სანქცია. კერძოდ, მხარეთა შორის სადავოა ქ. ატლანტაში ნ. გ.-ს წარგზავნის, შესაბამისი ხარჯების გაწევის მიზნობრიობის (მივლინება თუ კვალიფიკაციის ამაღლება) და ემორის უნივერსიტეტში 2012 წლის 14 იანვრიდან 7



თებერვლის ჩათვლით გავლილი კურსების შედეგად ნ. გ.-ს, როგორც ექიმი-ენდოკრინოლოგის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ საკითხი.

აგრეთვე, მხარეთა შორის სადავოა (იხ. მოპასუხის შესაგებელი ს.ფ. 59) ნ. გ.-ს 2014 წლის 25 თებერვლიდან შპს „ა. კ.-ში“ დაკავებული თანამდებობიდან გათვისუფლების სამართლებრივი საფუძველი. სადავოა, გათვისუფლება მოხდა შრომითი მოვალეობების უხეში დარღვევის (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტი), თუ მხარეთა ურთიერთშეთანხმების (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტი) საფუძველზე.

ამდენად მხარეთა შორის დავის სწორად გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელია, დადგინდეს, არსებობდა თუ არა განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ზემოთ მითითებული ნორმის (5.2. მუხლი) ამოქმედების საფუძველი.

4.3. სააპელაციო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის და ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ სახეზე არ არის 2008 წლის 29 აგვისტოს შრომითი ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული სანქციის ამოქმედების და თანამშრომლისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში ნ. გ.-სთვის ჯარიმის დაკისრების საფუძველი. უფრო კონკრეტულად კი, პალატა შენიშნავს, რომ სახეზე არ არის დასახელებული ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრებისათვის, ამავე პუნქტით გათვალისწინებული არცერთი წინაპირობა, არც თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ხარჯის გაწევა და არც მისი (დასაქმებულის) ინიციატივით ან მისი ბრალით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. აღნიშნული კი გამორიცხავს შპს „ა. კ.-ს“ სარჩელის მოთხოვნის დაკამყოფილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს.

4.3.1. პირველ რიგში იმ საკითხთან დაკავშირებით მიმართული იყო თუ არა 2012 წლის 14 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით პერიოდში ქ. ატლანტაში ემორის უნივერსიტეტში ნ. გ.-ს წარგზავნა და იქ გამართულ კურსებში მონაწილეობის მიღება, მისი, როგორც ექიმი-ენდოკრინოლოგის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ, სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1.9. პუნქტი) და საბოლოო დასკვნას მასზედ, რომ ნ. გ.-ს მივლინება ემორის უნივერსიტეტში სტაჟირების გასავლელად არ ემსახურებოდა მოპასუხის, როგორც ექიმი-ენდოკრინოლოგის კვალიფიკაციის ამაღლებას. სააპელაციო პალატა არ იზიარებს აპელანტის პრეტენზიას გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთების ან ნაწილთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატა ყურადღებას შეაჩერებს იმ ფაქტზე, რომ ემორის უნივერსიტეტში ამ



სტაჟირების ფარგლებში ნ. გ.-სთან ერთად, ასევე წარგზავნილები იყვნენ შპს „ბ. კ.-ს“ დირექტორი – დ. ჯ., აგრეთვე კლინიკის თანამშრომელი სამედიცინო ტექნიკოსი დ. ე. პალატა ყურადღებას შეაჩერებს ემორის უნივერსიტეტში ვიზიტის პერიოდში ვიზიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის შინაარსზეც. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 19 იანვრის ელექტრონული წერილიდან ირკვევა (დოქ. H. Raghuvver), რომ ვიზიტორებს მიეწოდათ ამომწურავი იდეები მართვის, პერსონალის დატრენინგების, პოლიტიკისა და პროტოკოლის შემუშავების, პაციენტების და საექიმო განათლების, ფაქტობრივი პროცესების და ფარისებრი ჯირკვლის სკანერით გადაღების და მკურნალობის, ანგარიშგების და კონტროლის სფეროში; ასევე, ჩაუტარდათ სესია რადიაციული უსაფრთხოების ოფიცერთან. ტექნიკური ზედამხედველი და ადმინისტრაციული დირექტორისაგან მიეცათ რეკომენდაციები აღჭურვილობის ამორჩევასთან, შეძენასთან და გამყიდველებთან მოლაპარაკებების წარმოებასთან დაკავშირებით.

სხვადასხვა სპეციალობის მქონე პირების მონაწილეობა ამ ვიზიტში და ამ ვიზიტის დროს განხილული საკითხების შინაარსი პალატის მოსაზრებით, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ემორის უნივერსიტეტში ამ ვიზიტის ორიენტირი არ ყოფილა ენდოკრინოლოგი სპეციალობის მქონე პირებისათვის კვალიფიკაციის ამაღლება. ეს ფაქტობრივი მოცემულობა (წინა აზრებში დაფიქსირებული ფაქტები) ხაზს უსვამს ვიზიტის მიზნობრიობას იმის თაობაზე, რომ ვიზიტორებისათვის მიწოდებული ყოფილიყო რადიოლოგიური კაბინეტის დაარსებისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ნიშანდობლივია, რომ თავად სარჩელშიც (იხ. ს.გ. 2) მოსარჩელე ემორის უნივერსიტეტში თანამშრომლის მივლინების (სტაჟირების) მიზანს უკავშირებს შპს „ბ. კ.-ში“ რადიოლოგიური (რადიოაქტიური იოდით მკურნალობის) განყოფილების დაარსებისათვის და ამუშავებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და შემდგომ საქართველოში კლინიკის ფარგლებში მათ გათვალისწინებას.

პალატა იზიარებს პირველ ინსტანციის სასამართლოს იმ მსჯელობას, რომ კვალიფიკაციის ამაღლების უმთავრესი წინაპირობა არის პირის მიერ ზოგადად აღნიშნულ სფეროში კვალიფიკაციის ქონა და რომ მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ არის შესაძლებელი მისი გაღრმავება, გაზრდა და ამაღლება დროთა განმავლობაში დაგროვილი სიახლეებითა და თუ მიღწევებით. უდავოა, რომ ნ. გ. სპეციალობით არის ენდოკრინოლოგი და რომ რადიოლოგიის დარგში შესაბამისი სპეციალობა არ გააჩნია. შესაბამისად მის მიერ ემორის უნივერსიტეტში 2012 წლის 14 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით პერიოდისათვის განხორციელებული ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია რადიოაქტიური იოდით მკურნალობის თანამედროვე მიდგომებთან და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტექნიკურ საკითხების თაობაზე, ვერ გამოიწვევდა მისი როგორც ენდოკრინოლოგის კვალიფიკაციის ამაღლებას. ცხადია, რომ ნ. გ.-სთვის ამ



ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუმცა ინფორმაციის მიღება ამ თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ავტომატურად არ გულისხმობს კვალიფიკაციის ამაღლებას. პალატა შენიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის დადასტურებული გარემოება იმის შესახებ, რომ ემორის უნივერსიტეტში ვიზიტის პერიოდში ნ. გ.-მ გაიარა რაიმე კონკრეტული სასწავლო (საგანმანათლებლო) პროგრამა და რომ ამ პროგრამის დამლევს შედეგად მიიღო შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, დიპლომი) რითაც დადასტურდებოდა მისი, როგორც ექიმი ენდოკრინოლოგის კვალიფიკაციის ამაღლება.

საბოლოოდ პალატა წინამდებარე ქვეპუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების და მსჯელობის გათვალისწინებით არ იზიარებს სააპელაციო საჩივრის ავტორის პრეტენზიას მასზედ, რომ სასამართლოს მიერ არასწორად შეფასდა და დადგინდა ნ. გ.-ს ემორის უნივერსიტეტში მივლინების მიზნობრიობა და რომ აღნიშნული მივლინება განხორციელებული იყო მისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

4.3.2. სააპელაციო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრისათვის, ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს ნ. გ.-ს გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლის შესახებ საკითხის გამოკვლევას, რამდენადაც დამსაქმებელს, როგორც უკვე აღინიშნა მხოლოდ დასაქმებულის ინიციატივით ან მისი ბრალეულობით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში წარმოემოზოდა ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დასაქმებულის დაჯარიმების უფლება.

4.3.2.1. მართალია, მოცემულ ეტაპზე განხილვის საგანს არ წარმოადგენს 2014 წლის 25 თებერვლის გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების საკითხი, თუმცა აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მოცემული დავის ფარგლებში მოპასუხის პოზიციიდან გამომდინარე, აგრეთვე თავად სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთებულობის შემოწმების ფარგლებში აუცილებელ საკვლევ გარემოებას წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ ჰქონდა თუ არა ადგილი დასაქმებულის, ნ. გ.-ს მხრიდან მასზე, როგორც ექიმი ენდოკრინოლოგის მხრიდან შრომითი მოვალეობების უხეშ დარღვევას და შესაბამისად ჰქონდა თუ არა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის გამოყენების უფლება დამსაქმებელს, რომლის შესახებაც მან მიუთითა 2014 წლის 25 თებერვლის გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში.

სააპელაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ნ. გ.-ს 2014 წლის 25 თებერვლის #112¹/პ გათავისუფლების შესახებ ბრძანება ცალკე არ გაუსაჩივრებია, არ წარმოშობს დაბრკოლებას მოცემული დავის ფარგლებში შეფასდეს დამსაქმებლის მიერ ნ. გ.-ს შპს „ა. კ.-ში“ დაკავებული თანამდებობიდან შკ-ის



37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტით (დამსაქმებლის მიერ დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევა) გათავისუფლების საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა. ის პოზიცია, რომ ნ. გ.-ს გაშვებული აქვს დასახელებული ბრძანების გასაჩივრების ვადა (შკ-ის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა) სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა გაზიარებული. ამ საკითხთან დაკავშირებით პალატა პირველ რიგში ყურადღებას შეაჩერებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- უდავოა რომ 2014 წლის 25 თებერვლიდან ნ. გ.-სთან შეწყდა 2008 წლის 29 აგვისტოს შრომითი ხელშეკრულება და ამ მომენტიდან მას აღარ უმუშავია შპს „ა. კ.-ში“;
- საქმეში 71-ე გვერდზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით დადასტურებულია, რომ ნ. გ.-მ სწორედ 2014 წლის 25 თებერვალს წერილობითი განცხადებით მიმართა დამსაქმებელს მასთან შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე (შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტით) შეწყვეტასთან დაკავშირებით მისი წერილობითი დასტურის დასაფიქსირებლად. ამავე მტკიცებულებაზე დატანილი მონაცემებით დადასტურებულია, რომ აღნიშნული წერილობითი განცხადება დამსაქმებელმა ჩაიბარა.
- საქმეში 30-ე გვერდზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით დადასტურებულია, რომ 2014 წლის 25 თებერვლის გათავისუფლების შესახებ ბრძანება და ამ ბრძანებაში მითითებული გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლის (შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტი) შესახებ ნ. გ.-ს ეცნობა 2014 წლის 13 მაისს, ესე იგი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მომენტიდან დაახლოებით ორთვენახევრის შემდეგ.

მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს სააპელაციო პალატა განიხილავს ფაქტების სახით, რომელთა ანალიზიც საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთმიმართებაში იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების მყარ ფაქტობრივ საფუძველს სადავო საკითხების სწორი შეფასებისათვის.

პირველყოფლისა სასამართლო შენიშნავს, რომ ნ. გ. სადავოდ არ ხდის 2008 წლის 29 აგვისტოს შრომითი ხელშეკრულების 2012 წლის 25 თებერვლიდან შეწყვეტის საკითხს და შესაბამისად დამსაქმებლის გადაწყვეტილებას მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, მისი მხრიდან სადავოა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ის კონკრეტული საფუძველი (შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტი), რის შესახებაც მას მხოლოდ ორთვენახევრის შემდეგ ეცნობა 2012 წლის 25 თებერვლით დათარიღებული #112¹/პ– ბრძანებით.

საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის 6-ე ნაწილის თანახმად დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი



ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე.

მოხმობილ ნორმათა, ასევე შკ-ის 38-ე მუხლის მე-5, მე-7 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებელმა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების 30 დღიანი ვადა დაუკავშირა დამსაქმებლისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების დასაქმებულის მიერ მოთხოვნის (იხ. შკ-ის 38-ე მუხლის მე-4 ნაწ., მე-5 ნაწ., მე-7 ნაწ.) საკითხს. ხოლო იმ შემთხვევებში, თუკი დამსაქმებელი თავისი ინიციატივით ჩააბარებს დასაქმებულს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთებას ცხადია, დასაქმებულის მიერ ამ წერილობითი დასაბუთების მოთხოვნა კარგავს აქტუალობას. სააბოლოოდ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების ჩაბარებიდან (ან წერილობითი დასაბუთების მომზადების 7 დღიანი ვადის ამოწურვიდან) მხოლოდ 30 დღის ვადაშია უფლებამოსილი დასაქმებული გაასაჩივროს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა აქვე საგანგებოდ განმარტავს, რომ არც 38-ე მუხლი და არც კოდექსის სხვა მუხლები არ შეიცავენ იმ მდგომარეობის მომწესრიგებელ ქცევის წესს თუ რა ვადაში უნდა გასაჩივრდეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუკი არც დამსაქმებელი თავისი ინიციატივით არ გადაცემს დასაქმებულს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთებას და არც დასაქმებული არ მოითხოვს დამსაქმებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების გადაცემას. სააპელაციო პალატა კიდევ ერთხელ ყურადღებას შეაჩერებს 38-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის ფორმულირებაზე, სადაც მითითებულია, რომ დასაქმებულს უფლება აქვს მოითხოვოს დამსაქმებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების გადაცემა. ნორმის ამგვარი დანაწესიდან გამომდინარეობს ის აზრი, რომ დასაქმებული არ არის ვალდებული მოითხოვოს წერილობითი დასაბუთების გადაცემა და შესაბამისად ასეთ შემთხვევაში (თუკი დასაქმებული არ მოითხოვს წერილობითი დასაბუთების გადაცემას) გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მის მიერ გასაჩივრების უფლებაზე არ შეიძლება გავრცელდეს 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა. პალატის მოსაზრებით ასეთ შემთხვევებზე შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის და სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1- ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე უნდა გავრცელდეს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.



სააპელაციო პალატა აქვე დასძენს, რომ რამდენადაც ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების გადაცემის მოთხოვნას და მის ჩაბარებას უკავშირდება საკმაოდ მკაცრი სამართლებრივი შედეგები დასაქმებულისათვის (იმ თვალსაზრისით, რომ თუკი ამ წერილობითი დასაბუთების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში დასაქმებული არ გაასაჩივრებს გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას ის კარგავს გასაჩივრების უფლებას) პალატა მიიჩნევს, რომ თავად ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთება უნდა აკმაყოფილებდეს დასაბუთებულობის საშუალო სტანდარტს მაინც. კერძოდ ამგვარი წერილობითი დასაბუთება უნდა შეიცავდეს კონკრეტულ, დეტალურ აღწერილობას იმ ფაქტობრივი გარემოებებისა, რასაც დამსაქმებელი მიიჩნევს დასაქმებულის მხრიდან გაცემად, შრომითი მოვალეობების დარღვევად. ასევე უნდა შეიცავდეს არგუმენტაციას თუ რატომ იყო აუცილებელი ამ დარღვევის თუ გაცემის საპასუხოდ უკიდურესი ღონისძიების სახით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამოყენება, ასევე მითითებას იმ სამართლებრივ საფუძველზე, რითიც მოხდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. დასაბუთების ამგვარი სტანდარტის დაცვის აუცილებლობა გამომდინარეობს თავად იმ ობიექტური გარემოებებიდან, რომ გასაჩივრების შემჭიდროებული ვადის გამო დამსაქმებელს აღარ უნდა ჭირდებოდეს გათავისუფლების საფუძვლებთან დაკავშირებით დასაქმებულისგან დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის მიმართვა.

განსახილველ შემთხვევაში, 2014 წლის 25 თებერვლის გათავისუფლების შესახებ ბრძანება პალატის მოსაზრებით არ შეიძლება შეფასებული და განხილული იქნეს მხარეთა შორის გაფორმებული 2008 წლის 29 აგვისტოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთებად. აღნიშნული ბრძანება შეიცავს მხოლოდ ზოგადი ხასიათის მითითებას ნ. გ.-ს მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით, რის გამოც დამსაქმებლის მიერ გამოყენებული იქნა 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნტი მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად. ასევე შეიცავს ნ. გ.-სთვის ჯარიმის სახით 16 763 ლარის დაკისრების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილებას. პალატა ყურადღებას ამახვილებს დასახელებულ ბრძანებაში შრომითი მოვალეობის დარღვევებთან დაკავშირებით ზოგადი ხასიათის მითითებაზე – „პაციენტებთან უხეში დამოკიდებულება“, „ხელმძღვანელის მითითების შეუსრულებლობა“, „კონფერენციაზე, შეხვედრაზე პირადი ტელეფონით სარგებლობა“ და მიუთითებს, რომ აღნიშნული საბუთი (ბრძანება) არ შეიცავს იმ კონკრეტული გარემოებების აღწერილობას, რის გამოც დამსაქმებელმა მიიჩნია, რომ პაციენტთან უხეში დამოკიდებულება გამოიჩინა ნ. გ.-მ, მაგალითად როდის და ნ. გ.-ს რა ქმედება იქნა შეფასებული უხეშ მოქცევად, ასევე რა შინაარსის მითითება არ იქნა შესრულებული ნ.გ.-ს მიერ და ა.შ.. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატა 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანებას განიხილავს მხოლოდ გათავისუფლების შესახებ შეტყობინებად და არა ხელშეკრულების შეწყვეტის



საფუძვლის წერილობით დასაბუთებად.

შესაბამისად, ვინაიდან სააპელაციო პალატა მივიდა იმ დასკვნადმე, რომ 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება არ წარმოადგენს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 მე-5, მე-6 და 7-ე ნაწილებით გათვალისწინებულ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთებას, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სხვა რაიმე დასაბუთება დამსაქმებელს ნ. გ.-სთვის არ ჩაუბარებია და არც ნ. გ.-ს თავის მხრივ, როგორც დასაქმებულს არ მოუთხოვია 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანების შეტოვინების სახით მიღების შემდგომ, შპს „ა. კ.-სთვის“ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების გადაცემა, პალატა მიიჩნევს, რომ ნ. გ.-ს პრეტენზია 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანების კანონიერებასთან (იგულისხმება მხოლოდ გათავისუფლების საფუძვლის კუთხით პრეტენზია) დაკავშირებით არ არის ხანდაზმული. შესაბამისად აპელანტის ის არგუმენტი, რომ 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება კანონიერ ძალაშია შესული და მასში დაფიქსირებული გათავისუფლების შესახებ კონკრეტული საფუძვლის კანონიერება აღარ შეიძლება გადაიხედოს, საფუძველს მოკლებულია.

4.3.2.2. მოსარჩელე მოპასუხის მიერ ჩადენილი დარღვევის ფაქტების დასადასტურებლად, შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი განცხადებით. სააპელაციო პალატა შენიშნავს, რომ იმ კონკრეტული დარღვევების შესახებ, რაც ასახულია 2014 წლის 25 თებერვლის გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში და რასაც მოსარჩელე უკავშირებს ნ. გ.-ს მხრიდან შრომითი მოვალეობების უხეშ დარღვევას, მოსარჩელეს არათუ მტკიცებულებები არ წარმოუდგენია მათი დადასტურების მიზნით, არამედ ლოგიკური და დამაჯერებელი დასაბუთებაც კი, ვერ შეთავაზა სასამართლოს იმის დასარწმუნებლად რომ ეს ქმედებები ნ. გ.-ს მიერ იქნა ჩადენილი (სააპელაციო პალატა შენიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას აპელანტს მიეცა შესაძლებლობა ამ სადავო საკითხთან დაკავშირებით წარმოედგინა დამატებითი მტკიცება და დასაბუთება). პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტზე, რომ აპელანტი მხარის მიერ ზეპირი სახითაც კი, ვერ იქნა მოწოდებული საკმარისი ინფორმაცია თუ როდის მოხდა ამ ქმედებების ჩადენა მოპასუხის მიერ, ან კონკრეტულად რაში გამოიხატა მაგალითად ნ. გ.-ს მხრიდან პაციენტის მიმართ ისეთი ქცევა, რაც დამსაქმებელმა მიიჩნია პაციენტისადმი უხეშ დამოკიდებულებად; ან კონკრეტულად რა შინაარსის მითითების შეუსრულებლობა იქნა მიჩნეული დამსაქმებლის მიერ ნ. გ.-ს მხრიდან ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობად და შრომითი მოვალეობის უხეშ დარღვევად. საბოლოოდ მოსარჩელე მხარე მოცემული სადავო გარემოების დასადასტურებლად მხოლოდ იმ არგუმენტით შემოიფარგლა, რომ 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება მხარეს არ ჰქონდა გასაჩივრებული კანონით დადგენილ ვადაში და რომ ბრძანებაში მითითებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი და დაფიქსირებული შრომითი მოვალეობების დარღვევები არ შეიძლებოდა ყოფილიყო



გადახედილი ამ ეტაპზე. აღნიშნული არგუმენტი კი, პალატის მიერ არ იქნა გაზიარებული, რაზეც უკვე ზემოთ ვიმსჯელებთ.

საბოლოოდ პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელემ ამ დავის ფარგლებში ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ ნ. გ.-ს ბრალეულობით და მის მიერ შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო მოხდა მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. სააპელაციო პალატა ამ საკითხთან მიმართებაში სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ყურადღებას შეაჩერებს მოცემულ საქმეზე გამოკვეთილი კონკრეტული ფაქტების ანალიზზე. კერძოდ ფაქტია, რომ 2014 წლის 25 თებერვალს ნ. გ.-მ წერილობითი განცხადებით მიმართა შპს „ა. კ.-ს“ იმ პოზიციის დასაფიქსირებლად, რომ იგი თანახმაა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვეტილიყო შრომითი ხელშეკრულება და რომ ადასტურებდა მის ნებას წერილობითი სახით. ლოგიკური და გონივრულიცაა, რომ თუკი გათავისუფლების საფუძველი მართლაც ნ. გ.-ს მიერ შრომითი მოვალეობების უხეში დარღვევა იყო, დამსაქმებელს ნ. გ.-ს 2014 წლის 25 თებერვლის წერილობითი განცხადების მიღებიდან დაუყოვნებლივ ნ. გ.-სათვის ჩაებარებინა გათავისუფლების შესახებ #112¹-ბრძანება, სადაც დაფიქსირებული იყო სრულიად სხვა საფუძველი. ფაქტია, რომ ამ ბრძანების ჩაბარება დასაქმებულისათვის მოსარჩელემ მოახდინა მხოლოდ 2014 წლის 13 მაისს, ესე იგი დაახლოებით ორთვენახევრის შემდეგ. ასევე გონივრული და ლოგიკურია იმ ვარაუდის დამტკიცება, რომ, თუკი მართლაც 2014 წლის 25 თებერვლის მომენტისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო შრომითი მოვალეობების უხეში დარღვევა და დამსაქმებელს აღნიშნულის გათვალისწინებით გააჩნდა დასაქმებულისათვის ხელშეკრულების 5.2 პუნქტის საფუძველზე ჯარიმის დაკისრების საფუძველი, შპს „ა. კ.-ს“, როგორც დამსაქმებელს შრომის კოდექსის 33-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, განეხორციელებინა თებერვლის თვის ხელფასის დაქვითვა ჯარიმის ანგარიშში. აღნიშნულის საპირისპიროდ კი ფაქტია, რომ თებერვლის თვის ხელფასი ნ. გ.-ს ჩაერიცხა დაქვითვის გარეშე. სააპელაციო პალატა ამ ფაქტების ანალიზის გათვალისწინებით სარწმუნოდ მიიჩნევს ნ. გ.-ს მტკიცებას იმის შესახებ, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველით ზეპირსიტყვიერად წინასწარ იყო შეთანხმებული შპს „ა. კ.-ს“ ხელმძღვანელობასთან და რომ სწორედ ამ ზეპირსიტყვიერი შეთანხმებიდან გამომდინარე მან წერილობითი განცხადებით უკვე 2014 წლის 25 თებერვალს მიმართა დამსაქმებელს.

4.3.3. სააპელაციო პალატა წინამდებარე განჩინების 4.3.2.1. და 4.3.2.2. პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებების, ფაქტების, ასევე ამ პუნქტებში ასახული მსჯელობის და სამართლებრივი დასკვნების გათვალისწინებით ადგენს ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ნ. გ.-ს მიერ შრომითი ვალდებულების დარღვევა და მისი ბრალეულობით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გარემოება, რომელიც წარმოადგენს სარჩელის



დაკმაყოფილებისათვის ერთ-ერთი აუცილებელ მაკვალიფიცირებელ გარემოებას და თავის მხრივ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის საკმარის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და არ არსებობს მისი გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. სააპელაციო საჩივარი კი, როგორც დაუსაბუთებელი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

6. საპროცესო ხარჯები

აპელანტის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა წინასწარ - 670 ლარის ოდენობით (იხ. ტ.1, ს.ფ. 293), რაც უნდა დარჩეს სახ. ბიუჯეტში, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „ა. კ.-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.
4. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას



ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30-ე დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს განჩინების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

სხდომის თავმჯდომარე:

/ვანო წიკლაური /

მოსამართლეები:

/ხათუნა არევაძე /

/ლილი ტყემალაძე/